N768/11
29.11.16

შპს „ტვ ნეტის" წილის 100%-ის შპს „MAXNET"-ის მიერ შეძენაზე, ასევე შპს „ტვ ნეტის" და შპს „MAXNET"-ის შერწყმაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიას ერთობლივი წერილით (კომისიაში რეგისტრაციის №შ-6/11861-16 04.11.2016) მიმართეს შპს „MAXNET"-მა (ს/კ 439393390) და შპს „ტვ ნეტმა" (ს/კ 415592594), შპს „ტვ ნეტის" წილის 100%-ის შპს „MAXNET"-ის მიერ შეძენაზე, ასევე შპს „ტვ ნეტის" და შპს „MAXNET"-ის შერწყმაზე კომისიისაგან წინასწარი თანხმობის მიღების მოთხოვნით.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, შერწყმის ან წილის შეძენის განზრახვის შესახებ კომისიას უნდა ეცნობოს შერწყმის ან შეძენის განხორციელებამდე. შეტყობინების ვალდებულება ეკისრება ავტორიზებულ პირს, რომელიც მონაწილეობს შერწყმაში ან რომლის წილის შეძენაც ხდება.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შერწყმის ან შეძენის თაობაზე ავტორიზებული პირის სრულყოფილი შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში გასცეს თანხმობა შერწყმაზე ან შეძენაზე ან ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის მოხდენის დადგენის მიზნით მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის ან შეძენის გამოკვლევის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს 2ტვ ნეტის" და შპს „MAXNET"-ის მიერ (კომისიაში წერილის რეგისტრაციის №შ-6/11861-16, 04.11.2016) კომისიაში წარმოდგენილ იქნა შემდეგი სახის **ინფორმაცია**:

- შპს 2ტვ ნეტის" საფირმო სახელწოდების, საქმიანობის სახისა და სარეგისტრაციო მონაცემების შესახებ;
- შპს 2ტვ ნეტის" დამფუძნებლების და მისი წილობრივი მონაწილეობის შესახებ;
- შპს 2ტვ ნეტის" შემოსავლების შესახებ;
- შპს„MAXNET"-ის საფირმო სახელწოდების, საქმიანობის სახისა და სარეგისტრაციო მონაცემების შესახებ;
- შპს „MAXNET"-ის დამფუძნებლების და მისი წილობრივი მონაწილეობის შესახებ;
- შპს „MAXNET"-ის შემოსავლების შესახებ;

კომისია აღნიშნავს, რომ **შპს „ტვ ნეტი"** წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეზე:

A.F.1. ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

კოაქსიალური (საკაბელო) ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

კოაქსიალური (საკაბელო) ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.5. მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის (უსადენო) გატარების საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული მაგისტრალური არხებისა და შესაბამისი ელემენტების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

WiFi

B.F.4. მაუწყებლობის ტრანზიტი

მაუწყებლობის ტრანზიტი

კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემების და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემების მიხედვით, შპს „ტვ ნეტის" 50%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი ზურაბ სხირტლაძე, წილის 50%-ის მფლობელია ფიზიკური პირი ქეთევან ცარციძე, ხოლო დირექტორი - მირიან ხვედელიძე.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „ტვ ნეტის“, შპს „ტვ ნეტის“ 50%-იანი წილის მფლობელის ფიზიკური პირის ზურაბ სხირტლაძის, წილის 50%-ის მფლობელის ფიზიკური პირის ქეთევან ცარციძის, ასევე შპს „ტვ ნეტის“ დირექტორის მირიან ხვედელიძის აფილირებულობა სხვა ავტორიზებულ პირებთან კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მიხედვით არ დგინდება.

კომისია აღნიშნავს, რომ **შპს „MAXNET“-**ი წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.2. ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

WiFi

კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემების და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემების მიხედვით, **შპს „MAXNET“-ის 95%**-იანი წილის მფლობელია **შპს „Netflex ნეტფლექსი”** (ს/კ 400036402), წილის **5%**-ის მფლობელია ფიზიკური პირი გურამ გოგატიშვილი, ხოლო დირექტორი - კობა გოგატიშვილი.

კომისია აღნიშნავს, რომ **შპს „MAXNET“-**ის წილის **5%**-ის მფლობელის ფიზიკური პირის გურამ გოგატიშვილის აფილირებულობა სხვა ავტორიზებულ პირებთან კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მიხედვით არ დგინდება.

კომისია აღნიშნავს, რომ **შპს „Netflex ნეტფლექსი”** წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.1. ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.2. ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.3. ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

WiFi

კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემების და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემების მიხედვით, **შპს „Netflex ნეტფლექსის”** დირექტორი და **100%-იანი** წილის მფლობელია ფიზიკური პირი ნუკრი ზუხბაია.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემების და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემების მიხედვით, **შპს „Netflex ნეტფლექსი”** არის **შპს “YOURNET”**-ის (ს/კ 438108398) წილის **100%-ის** მფლობელი, ასევე **შპს “niknet”**-ის (ს/კ 406083508) წილის **96%-ის** მფლობელი, **შპს “niknet”**-ის წილის **4%**-ის მფლობელია ფიზიკური პირი პაატა შამუგია, ხოლო **შპს “YOURNET”**-ის და **შპს “niknet”**-ის დირექტორი არის არჩილ ხოჯაშვილი.

ფიზიკური პირი არჩილ ხოჯაშვილი ასევე წარმოადგენს:

1. ავტორიზებული პირი - **შპს „სქაიტელის“** (ს/კ 400013748) დირექტორს.

კომისია აღნიშნავს, რომ **შპს “YOURNET”-**ი წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.2. ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.3. ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

WiFi

შპს "niknet"-ი წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.2. ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.3. ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

WiFi

შპს „სქაიტელი" წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.2. ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.3. ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

WiFi

კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემების და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემების მიხედვით, **შპს „სქაიტელის" 100%-**იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი ბესიკი მოსაშვილი.

კომისია აღნიშნავს, რომ **შპს „niknet"**-ის წილის **4%-**ის მფლობელის პაატა შამუგიას **შპს „სქაიტელის"** წილის **100%-**ის მფლობელის ბესიკი მოსაშვილის აფილირებულობა სხვა ავტორიზებულ პირებთან კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მიხედვით არ დგინდება.

კომისიის საერთო სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით **შპს „MAXNET"-**ის, **შპს „Netflex ნეტფლექსის"**, **შპს „niknet"**-ის, **შპს "YOURNET"**-ის და **შპს „სქაიტელის"** შემოსავლები და მათი ხვედრითი წილები **ფიქსირებული საცალო ინტერნეტ სააბონენტო** მომსახურებიდან მოცემულია ცხრილი =1-ში გეოგრაფიული არეალების მიხედვით:

ცხრილი =1

	მიღებული შემოსავლები 2016 წლის იანვრიდან 2016 წლის სექტემბრის თვის ჩათვლით პერიოდში (ლარი)	**შემოსავლების ხვედრითი წილი 2016 წლის სექტემბრის თვის მდგომარეობით**
ამბროლაურის რაიონი		
MAXNET	**13,586**	**19.23%**
გარდაბნის რაიონი		
სქაიტელი	**15,346**	**0.83%**
გურჯაანის რაიონი		
სქაიტელი	**2,536**	**2.39%**
YOURNET	**19,188**	**3.14%**
დედოფლისწყაროს რაიონი		
YOURNET	**25,614**	**30.27%**
დუშეთის რაიონი		
Netflex ნეტფლექსი	**11,451**	**7.78%**
თბილისი		
niknet	**62,641**	**0.06%**
სქაიტელი	**168,711**	**0.12%**

თეთრი წყაროს რაიონი		
სქაიტელი	**11,741**	**3.97%**
ლაგოდეხის რაიონი		
სქაიტელი	**116**	**0.19%**
ონის რაიონი		
MAXNET	**25,273**	**82.53%**
რუსთავი		
სქაიტელი	**1,508**	**0.02%**
სიღნაღის რაიონი		
YOURNET	**542**	**0.40%**
საგარეჯოს რაიონი		
YOURNET	**85,296**	**10.21%**
საჩხერის რაიონი		
MAXNET	**139,630**	**46.19%**
სენაკის რაიონი		
სქაიტელი	**4,081**	**1.04%**
სტეფანწმინდის რაიონი		
Netflex ნეტფლექსი	**22,359**	**15.31%**
ტყიბულის რაიონი		
MAXNET	**6,401**	**3.71%**
წყალტუბოს რაიონი		
niknet	**3,138**	**0.48%**
ჭიათურის რაიონი		
MAXNET	**48,712**	**18.85%**
ხაშურის რაიონი		
niknet	**60,640**	**5.47%**

ცხრილი =2-ში მოცემულია გეოგრაფიული არეალების მიხედვით შპს **„MAXNET“-**ის, შპს **„Netflex** ნეტფლექსის**”**, შპს **„niknet”**-ის, შპს **“YOURNET”**-ის და შპს **„სქაიტელის“** ინტერნეტ აბონენტების საერთო რაოდენობა და მათი ხვედრითი წილები 2016 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით:

ცხრილი =2

	ინტერნეტ აბონენტების რაოდენობა 2016 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით	ინტერნეტ აბონენტების %
ამბროლაურის რაიონი		
MAXNET	**127**	**28.04%**
გარდაბნის რაიონი		
სქაიტელი	**276**	**3.25%**
გურჯაანის რაიონი		
სქაიტელი	**445**	**8.65%**
YOURNET	**230**	**4.47%**
დედოფლისწყაროს რაიონი		
YOURNET	**362**	**42.14%**
დუშეთის რაიონი		
Netflex ნეტფლექსი	**121**	**6.94%**

თბილისი		
niknet	**413**	**0.13%**
სქაიტელი	**1,857**	**0.58%**
თეთრი წყაროს რაიონი		
სქაიტელი	**224**	**16.12%**
ლაგოდეხის რაიონი		
სქაიტელი	**30**	**1.06%**
ონის რაიონი		
MAXNET	**190**	**96.94%**
რუსთავი		
სქაიტელი	**6**	**0.02%**
სიღნაღის რაიონი		
YOURNET	**7**	**0.30%**
საგარეჯოს რაიონი		
YOURNET	**557**	**15.50%**
საჩხერის რაიონი		
MAXNET	**1,191**	**54.76%**
სენაკის რაიონი		
სქაიტელი	**199**	**5.49%**
სტეფანწმინდის რაიონი		
Netflex ნეტფლექსი	**170**	**30.36%**
ტყიბულის რაიონი		
MAXNET	**67**	**5.13%**
წყალტუბოს რაიონი		
niknet	**31**	**0.67%**
ჭიათურის რაიონი		
MAXNET	**418**	**18.85%**
ხაშურის რაიონი		
niknet	**471**	**6.74%**

კომისიის საერთო სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით **შპს „ტვ ნეტი"** ახორციელებს მაუწყებლობის ტრანზიტს ჭიათურის მუნიციპალიტეტში. შესაბამისად, **შპს „ტვ ნეტის"** მიერ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სფეროში ავტორიზებული საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2016 წლის იანვრიდან 2016 წლის სექტემბრის თვის ჩათვლით შეადგინა 14082 ლარი. აბონენტთა საერთო რაოდენობამ 2016 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა 158 აბონენტი.

წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე ჭიათურის მუნიციპალიტეტში კომპანიების მიერ მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურე აბონენტთა საერთო რაოდენობაში, **შპს „ტვ ნეტის"** აბონენტთა ხვედრითი წილი 2016 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგენდა - 5,67%-ს, ხოლო ჭიათურის მუნიციპალიტეტში კომპანიების მიერ მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურებიდან მიღებულ მთლიან შემოსავლებში, შპს „ტვ ნეტის" შემოსავლების ხვედრითი წილი 2016 წლის იანვრის თვიდან 2016 წლის ოქტომბრის თვის ჩათვლით შეადგენდა - 14,16%-ს.

კომისია აღნიშნავს, კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მონაცემების მიხედვით <u>დგინდება</u> **შპს „MAXNET"-**ის აფილირებულობა **შპს „Netflex ნეტფლექსთან"**, **შპს "YOURNET"-**თან, **შპს „niknet"**-თან და **შპს „სქაიტელთან"**, რადგანაც ფიზიკური პირი კობა გოგატიშვილი არის **შპს „MAXNET"-**ის დირეტორი, ხოლო **„MAXNET"-**ის 95%-იანი წილის მფლობელია **შპს „Netflex ნეტფლექსი"**. ასევე, **შპს „Netflex ნეტფლექსი"** არის **შპს „niknet"**-ის წილის 96%-ის და **შპს "YOURNET"-**ის წილის 100%-ის მფლობელი, ხოლო ფიზიკური პირი არჩილ ხოჯაშვილი არის **შპს „niknet"**-ის, **შპს "YOURNET"-**ის და **შპს „სქაიტელის"** დირექტორი (დანართი =3).



კომისია ასევე აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული აფილირებული ავტორიზებული პირები ბაზარზე ერთობლივად საქმიანობენ, ელექტრონულ საკომუნიკაციო ბაზარზე არსებული მდგომარეობა უცვლელი დარჩება, რადგანაც შპს „ტვ ნეტი“ და ზემოაღნიშნული აფილირებული პირები ბაზრის სხვადასხვა სეგმენტზე საქმიანობენ. კერძოდ, შპს „ტვ ნეტი“ ახორციელებს მაუწყებლობის ტრანზიტს, ხოლო ზემოაღნიშნული აფილირებული პირები კი ფიქსირებულ საცალო ინტერნეტ მომსახურებას უწევენ მომხმარებლებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ტვ ნეტის“ წილის 100%-ის შპს „MAXNET“-ის მიერ შეძენის, ასევე შპს „ტვ ნეტის“ და შპს „MAXNET“-ის შერწყმის შემთხვევაში, აღნიშნული ტრანზაქცია ვერ მოახდენს რაიმე გავლენას ელექტრონულ საკომუნიკაციო ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე.

კომისიამ მიიჩნია, რომ არ არსებობს შპს „ტვ ნეტის“ წილის 100%-ის შპს „MAXNET“-ის მიერ შეძენაზე, ასევე შპს „ტვ ნეტის“ და შპს „MAXNET“-ის შერწყმაზე წინასწარი თანხმობის მიცემის დამაბრკოლებელი გარემოებები.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა შპს „ტვ ნეტს“, შპს „ტვ ნეტის“ (ს/კ 415592594) წილის 100%-ის შპს „MAXNET“-ის მიერ შეძენაზე, ასევე შპს „ტვ ნეტის“ და შპს „MAXNET“-ის შერწყმაზე;
2. შპს „ტვ ნეტისა“ და შპს „MAXNET“-ის შერწყმის შემთხვევაში, შპს „ტვ ნეტმა“ და შპს „MAXNET“-მა უზრუნველყონ “ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილების შესაბამისად გათვალისწინებული მომხმარებელთა უფლებების დაცვა;
3. განემარტოს შპს „ტვ ნეტს“, რომ ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, წილის მფლობელის ცვლილების შემთხვევაში, შპს „ტვ ნეტი“ ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე კომისიას აცნობოს ცვლილების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში;
4. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს ამ გადაწყვეტილების შპს „ტვ ნეტისათვის“ დაუყოვნებლივ გადაგზავნა;
5. გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი დამოწმებული ასლის შპს „ტვ ნეტისა“ და შპს „MAXNET“-ისათვის ჩაბარების დღიდან;

6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6), ამ გადაწყვეტილების შპს „ტვ ნეტისა“ და შპს „MAXNET“-ისათვის ჩაბარების დღიდან;

7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს (დ. გოგიჩაიშვილი).

კომისიის თავმჯდომარე	ვახტანგ აბაშიძე
კომისიის წევრი	ელისო ასანიძე
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე
კომისიის წევრი	კახა ბექაური
კომისიის წევრი	მერაბ ქათამაძე